ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 212

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №437 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იმედაძის I ჩიხი №1, №3-ში, №1-ის მიმდებარედ, იმედაძის ქ. №5,№7,9,9ა-ში, იმედაძის ქ. №7-ის მიმდებარედ, უჩანეიშვილის I ჩიხი, №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, "ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის, 4[1] პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 ივნისის №04/6905 წერილის (AR1505975) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №437 განკარგულება ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იმედაძის I ჩიხი №1, №3-ში, №1-ის მიმდებარედ, იმედაძის ქ. №5,№7,9,9ა-ში, იმედაძის ქ. №7-ის მიმდებარედ, უჩანეიშვილის I ჩიხი, №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თაობაზე.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიხეგაშვილი